ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-1385

"29" ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 24 მაისის #1-888 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის,“ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 14 ივლისის სხდომის №36 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 24 მაისის #1-888 ბრძანებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.ქ. თბილისში, ვაზისუბანში, I მიკრორაიონის სამხრეთით, ავტოსადგომის მიმდებარედ, ვაზისუბნის დასახლებაში, #13-ე კორპუსის მიმდებარე გზის მოპირდაპირე მხარეს, აეროდრომის დასახლებაში, I ქ. #18/3-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.17.10.001.112), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=5,2.“

2. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია